

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰოსტინგის პოლიტიკა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰოსტინგის პოლიტიკა განსაზღვრულია სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის მიერ და დამტკიცებულია სტუ-ს სენატის მიერ. სტუ-ს ჰოსტინგი წარმოადგენს დაცულ და სტაბილურ ჰოსტინგის სერვისს სტუ-ს ვებ სივრცეში და იგი განკუთვნილია უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის.

ჰოსტინგის პოლიტიკის ძირითადი რეგულაციები მოცემულია ქვემოთ:

1. სტუ-ს ჰოსტინგი გაიცემა მხოლოდ სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების ან უნივერსიტეტთან დაკავშირებული ორგანიზაციებისთვის.
2. სტუ-ს ჰოსტინგი გაიცემა მხოლოდ ვებ-გვერდის შემოწმების შემდეგ.
3. მომხმარებელს საშუალება აქვს ისარგებლოს PHP ჰოსტინგით და ამოირჩიოს წინასწარ განსაზღვრული პაკეტებიდან ერთ-ერთი. პაკეტების ნახვა შესაძლებელია www.network.gtu.ge/hosting -გვერდზე.
4. ჰოსტინგზე განთავსებული ვებ-გვერდი უნდა აკმაყოფილებდეს „სტუ-ს ვებ-გვერდის უსაფრთხოების პოლიტიკის“ სტანდარტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰოსტინგი არ გაიცემა.
5. თუ მოხდება ჰოსტინგზე განთავსებული ვებ-გვერდის „დავირუსება“, „გატეხვა“ ან სხვა საფრთხის გამომწვევი მდგომარეობის დაფიქსირება, სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრს შეუძლია შეტყობინების გარეშე ოპერატიულად მოახდინოს ჰოსტინგის შეჩერება და მოგვიანებით აცნობოს ჰოსტინგის მფლობელს.
6. თითოეული მომხმარებლისთვის საკუთარი ანგარიში ხელისაწვდომი უნდა იყოს უნიკალური სახელით და პაროლით. მომხმარებელი ვალდებულია, აირჩიოს საკუთარი მომხმარებლის სახელი და პაროლი დადგენილი წესის მიხედვით. პაროლი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 8 სიმბოლოსგან, მათგან მინიმუმ ერთ სიმბოლოს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს მაღალი ლათინური ასო, ციფრი და პუნქტუაციის ნიშანი.
7. ვებ სივრცე გათვლილია ნორმალურ გამოყენებაზე, შესაბამისად დაუშვებელია შემდეგი ტიპის საიტების განთავსება: ფაილ-ჰოსტინგი, იმიჯ-ჰოსტინგი, მასიური სპამის დასაგზავნი აპლიკაცია და დიდი დატვირთვის მონაცემთა ბაზების მქონე საიტის განთავსება.
8. სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის მიერ მონოდედებული სერვისი უნდა იქნას გამოყენებული საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. დაუშვებელია ისეთი მასალის განთავსება, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობას. ასეთი ქმედების შემთხვევაში ჰოსტინგის სერვისი დაუყოვნებლივ შეწყდება/გაუქმდება.
9. ფაილის დაკარგვა/დაზიანებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს. სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი უზრუნველყოფს ჰოსტინგის ფაილების რეზერვირებას, კვირაში 2-ჯერ სიხშირით.